# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
## ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

# საკრებულოს თავმჯდომარის
# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №231

3 დეკემბერი 2012 წ.

**საამშენებლო სამართალდარღვევისათვის ს.ს. ,,წყალი მარგებელი“-ს დაჯარიმების შესახებ**

საქართველოს კანონის ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ მუხლი 43 ,,გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. არქიტექტურულ საამშენებლო საქმიანობაში დაშვებული სამართალდარღვევისათვის ს.ს. ,,წყალი მარგებელი“ დაჯარიმდეს 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით (ჩამომსხმელი საამქროს რეკონსტრუქცია - 200(ორასი) ლარი, ქარხნის საკუპაჟე რეზერვუარის მშენებლობა - 200 (ორასი) ლარი).

2. დამრღვევმა აღნიშნული თანხა ჩარიცხოს სამართლებრივი აქტის ჩაბარებიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში შემოსულობების ერთიან ანგარიშზე ა/ა GE11LBO120133210302000 მიმღები ბანკი „ლიბერთი ბანკი“–ს ჩოხატაურის ფილიალი ს/კ 242008705.

3. დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ დამრღვევს დაეკისროს საურავი დაჯარიმების შესახებ ბრძანებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

4. დაევალოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურს ბრძანების მიღებიდან 24 საათის განმავლობაში გააცნოს ბრძანება დამრღვევს.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობიდან 15 დღის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

*საკრებულოს თავმჯდომარე*

*ანტონ ხუნდაძე*

*ვიზირებულია,*

*იურისტი ედიშერ ჯიბუტი*